## სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
## აკადემიური საბჭო
## დადგენილება №01-05-04/362

ქ. თბილისი 21 დეკემბერი 2018 წ.

**სტუ-ის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის, თეიმურ ორუჯოვის განცხადების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუდენტის განცხადებისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 21 დეკემბრის №01-02-05/27 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, თეიმურ ორუჯოვი, (აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე), ზაქათალას რაიონის სოფელ მოსულიდან (საინგილო), სტუ-ში ჩაირიცხა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე და სწავლის წლიური საფასური აკადემიური საბჭოს 2015 წლის 20 მარტის №1474 დადგენილებით იყო 3000 ლარი, საფასური შეიცვალოს და განისაზღვროს 2250 ლარით.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე